ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა (GPS მომსახურება)

№1-226

ქ. თბილისი 1/3256 04.09.14 "03" სექტემბერი 2014 წ.

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"(შემდგომში „შემსყიდველად" წოდებული), მისი სააგენტოს უფროსის ***ვლადიმერ ლაზარიშვილის*** სახით, ერთი მხრივ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (შემდგომში „მიმწოდებლად" წოდებული), დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსის ***მამუკა ლიპარტელიანის*** სახით, მეორე მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „მიმწოდებელი", GPS-ის მოწყობილობის მეშვეობით, უზრუნველყოფს „შემსყიდველის" კუთვნილ 9 ერთეულ დანართი N1-ში მითითებულ ავტომობილებზე კონტროლის და გადაადგილების მონიტორინგის მომსახურეობის მიწოდებას 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

1.2 „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას „მიმწოდებელს" გადაუხადოს დაცვის მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე–2 მუხლის მოთხოვნათა მიხედვით.

მუხლი 2. მხარეთა შორის ანგარიშსწორება

2.1 GPS მომსახურების ღირებულება თვეში ერთ ავტომობილზე შეადგენს 25,00 (ოცდახუთი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;

2.2 ანგარიშსწორება მხარეთა შორის განხორციელდება:

2.2.1 „ობიექტის" GPS კონტროლზე აყვანის და შესაბამისი დოკუმენტის გაფორმების შემდეგ;

2.2.2 „ობიექტებზე" ფაქტიურად დამონტაჟებული GPS მოწყობილობების რაოდენობის მიხედვით;

2.2.3 საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში;

2.3 GPS მომსახურების ღირებულება შესაძლოა შეიცვალოს ავტომობილების რაოდენობის ცვლილების გამო, რაც აისახება 6.1 პუნქტით გათვალისწინებულ მიღება-ჩაბარების აქტში.

2.4 „მიმწოდებლის" მომსახურების საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერას უზრუნველყოფს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

2.5 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 9 ერთეულ ავტომობილზე 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შეადგენს 900,00 (ცხრაასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

მუხლი 3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

3.1.1 დროებით სარგებლობაში, უსასყიდლოდ გადასცეს „შემსყიდველს" GPS მოწყობილობა, უზრუნველყოს მათი მონტაჟი და პროგრამული უზრუნველყოფა;

3.1.2 გადასცეს „შემსყიდველს" უნაკლო მოწყობილობა და უზრუნველყოს სისტემის გამართული მუშაობა;

3.1.3 „შემსყიდველის" მოთხოვნისთანავე, საკუთარი ძალებით აღმოფხვრას მოწყობილობის დეფექტი, ნაკლოვანება ან/და ხარვეზი, „შემსყიდველის" წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;

3.1.4 მოწყობილობები ითვლება მიღებულად შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ორმხრივად ხელმოწერის შემდეგ, შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირია სსიპ „გარემოს სააგენტო"-ს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი **ზურაბ ტყემალაძე.**

3.1.5 წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან, 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში დაამონტაჟოს „შემსყიდველის" მიერ წარმოდგენილ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე GPS მოწყობილობები და გადასცეს დამკვეთს სერვისით სარგებლობის პარამეტრები (მომხმარებელი, პაროლი);

3.1.6 ხელშეკრულების 3.1.2 და 3.1.5 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში უზრუნველყოს სისტემის გამართული მუშაობის დაწყება;

3.1.7 დამონტაჟებული მოწყობილობების მეშვეობით, უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის", „ონლაინ" რეჟიმში შემდეგი ინფორმაციის მიწოდება: ერთი ან რამოდენიმე ავტომობილის, მოცემულ მომენტისათვის, ადგილმდებარეობის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების ისტორიის, ავტომობილის დროის სხვადასხვა მონაკვეთში განვლილი მანძილის, სიჩქარის, გაჩერების, დგომის დროის და მარშრუტის შესახებ;

3.1.8 თუ დაწესებულია მოძრაობის ზონის შეზღუდვა, ელექტრონულ ფოსტაზე „შემსყიდველს" მიაწოდოს ინფორმაცია პარამეტრების დარღვევის შესახებ, ასევე მიაწოდოს ინფორმაცია „შემსყიდველის"კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებებში დამონტაჟებული ღილაკებიდან შემოსული სიგნალი „განგაშის" შესახებ.

3.1.9 შეინახოს და „შემსყიდველისათვის" ხელმისაწვდომი გახადოს სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების ისტორია არანაკლებ 3 (სამი) თვისა;

3.1.10 უზრუნველყოს სერვერის შეუფერხებელი მუშაობა, რომლის მეშვეობითაც „შემსყიდველი" განახორციელებს კუთვნილ ავტომობილებზე მონიტორინგს.

3.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:

3.2.1 არ გაანდოს მესამე პირებს სერვისით სარგებლობის წესები;

3.2.2 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.1. პუნქტში მითითებული მოწყობილობების (რომლებიც წარმოადგენს „მიმწოდებლის" საკუთრებას და დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ არის გადაცემული „შემსყიდველისათვის" განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაზიანების შემთხვევაში აანაზღაუროს მიყენებული ზარალი ერთეულ მოწყობილობაზე 500,00 ლარის ოდენობით დღგ-ს ჩათვლით, 5 სამუშაო დღის განმავლობაში;

3.2.3 მოწყობილობებისა და მომსახურეობის დეფექტის, ნაკლის ან ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს „შემსრულებელს";

3.2.4 უზრუნველყოს ავტოსატრანსპორტო საშუალების ელექტროსისტემის ტექნიკური გამართულობა;

3.2.5 არ დაუშვას „მიმწოდებლის" მიერ დამონტაჟებული აპარატურის გადაკეთება ან შეკეთება „მიმწოდებლის" წარმომადგენლის გარეშე;

3.2.6 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის გაწევისათვის ოფიციალურად გამოყოს პასუხისმგებელი პირი და კონფიდენციალურად გადასცეს მას საიტის მისამართი, პაროლები, პირველადი საიდენტიფიკაციო სახელები ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უფლება და მოვალეობები;

3.2.7 გადაუხადოს „შემსრულებელს" მომსახურებით სარგებლობის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე–2 მუხლის მოთხოვნათა მიხედვით;

მუხლი 4. ფორს-მაჟორი

4.1 მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან ფორს-მაჟორული შემთხვევების დროს, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებული მოვალეობების შესრულება.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

5.2 `„მიმწოდებელი" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, `„შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ერთი თვის სახელშეკრულებო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში;

5.3 ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს „დამკვეთს" პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულების 0,2%-ის ოდენობით.

მუხლი 6. სხვა პირობები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მხარეთა მიერ შედგენილი GPS სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი;

6.2 „შემსყიდველი" ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის განმავლობაში, მოითხოვოს და ისარგებლოს ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურებით არანაკლებ 9 „ობიექტზე";

6.3 „შემსყიდველის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში „მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ღირებულების გაზრდა;

6.4 ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შეუთანხმებლობის შემთხვევაში „შემსრულებელი" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, რის შესახებაც წერილობით ეცნობება „მიმწოდებელს";

6.5 ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რის შესახებაც წერილობით აცნობებენ ერთმანეთს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ არანაკლებ 10 დღით ადრე;

6.6 ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, „შემსყიდველი" ვალდებულია „მიმწოდებელს" გადაუხადოს პირგასამტეხლო დაცვის მომსახურების ერთი თვის ღირებულების ოდენობით, პირგასამტეხლოს თაობაზე მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 14 საბანკო დღის განმავლობაში;

6.7 ხელშეკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობის 5%-ის მიღწევის შემთხვევაში, „მიმწოდებელი" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება დაუყოვნებლივ;

6.8 ხელშეკრულების მხარეები თავისუფლდებიან ნაკისრი პასუხისმგებლობისაგან იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება ვერ ხორციელდება გარკვეული ხარვეზების გამო, რომელიც გამოწვეულია მესამე პირის (GSM ოპერატორი, ინტერნეტ პროვაიდერი) მიზეზით;

6.9 წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია;

6.10 სადავო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;

6.11 ხელშეკრულება შედგენილია სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ინახება „შემსყიდველთან", ხოლო ერთი „შემსრულებელთან".

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„მიმწოდებელი" შსს სსიპ– დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ს/კ 211350928 ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-11 კმ ს.ს. „საქართველოს ბანკი" ცენტრალური ფილიალი კოდი: BAGAGE22 ა/ა GE02BG0000000308356208 დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსი მ. ლიპარტელიანი	„სემსყიდველი" **სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"** ს/კ 204559691 მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №150. ს.ს. „პროკრედიტ ბანკი" ბანკის კოდი: MIBGGE22 ა/აGE32PC0133400100000051 ტელ: 591-40-41-42. სააგენტოს უფროსი ბ.ლაზარიშვილი

2014 წლის 03 სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N1-226-ის
დანართი N1

1. ფორდ რეინჯერი სახ.N ZYZ-675
2. ფორდ რეინჯერი სახ.N ZYZ-520
3. ტოიოტა ჰაილუქსი სახ.N PAD-873
4. ტოიოტა ჰაილუქსი სახ.PAD 871

5 (ხუთი) ერთეული ავტომობილის მოდელი და სახელმწიფო ნომრები დაზუსტდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიმდინარეობის დროს.

,,შემსყიდველი"

სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტო"

სააგენტოს უფროსი

ვლადიმერ ოსაბარიშვილი

,,მიმწოდებელი"

შსს-ს სსიპ ,,დაცვის პოლიციის დეპარტამენტი"

დაცვის ორგანიზაციის მთავარი
სამმართველოს უფროსი
მამუკა ლიპარტელიანი